№ 21 27 იანვარი, კვირა. 1866--1880 27 იანვარი, კვირა. № 21

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

—

(საკუთარი მორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 25 იანვარს, „მთავრობის მოამბეში“ სწერია: „გაზეთის „რუსის ჯუჰაერის“ ცალკე ნომრობით გაყიდვა აკრძალულია. სმოლენსკის გზის მოსკოვის სადგურზედ 24 იანვარს დაიწვა მრავალი ვაგონი და რამდენიმე შენობა.

ჰერატი. დიდ სასახლო კრებას, ეიუბის თამჯდომარეობით, — თოფ-იარაღით წინააღუდგეთო სპარსელების ან ინგლისელების შემოსვლასაო, და ყოველის დაუნასმიებით ისე შევიმაგროთო, ვიდრე რუსის ექსპედიცია არ გათავდებაო.

პეტერბურღი, 25 იანვარს. „მთავრობის მოამბეში“ სწერია: გუშინ ნაშუადღევის 3 საათზედ ხელმწიფე იმპერატრიცა მობრძანდა პეტერბურღს. მასთანავე მობრძანდნენ მარიამ ალექსანდრეს ასული, ედინბურღის ჰერცოგინა, და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე.

---

ტფილისი, 26 იანვარს.

როგორც უწინ მოგახსენეთ, საფრანგეთის რესპუბლიკას ძალიან ბეჯითად მოუკიდნია ხელი ხალხის სწავლა-განათლების საქმისათვის. იმ მრავალ გვარ წინადადებათა შორის, რომელნიც პარლამენტის წინაშე არიან წარდგენილნი ამ საქმის შესახებ, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი, რომელიც ეხლა-ხან შეიტანა დეპუტატთა პალატში განათლების მინისტრმა, ჟიულ-ფერრიმ. ამ წინადადების ძალით პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა იყოს ყველასთვის ვალდებული და მუქთი. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ შარშან კომმისია იყო შემდგარი ამ საგნის შესახებ. ამ კომმისიამ შეადგინა ახალი კანონი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა იყოს აგრეთვე საერო, ე. ი. შკოლებში სამღვთო წერილის სწავლება სრულიად გაუქმებულ უნდა იქმნესო, რადგანაც ეს საქმე თვითონ დედ-მამას შეეხება და არა სახელმწიფოსაო. ამ კანონად მისაღებ წინადადებას დაწვრილებით მოგახსენებთ, როდესაც კომმისია თავის წინადადებას შეიტანს განსახილველად დეპუტატთა პალატში. ჟიულ-ფერრის წინადადებაში სრულიად არა არის-რა მოხსენებული საერო სწავლებაზედ. მან შეიტანა ორი კანონი ცალკე ვალდებულ სწავლაზედ და ცალკე მუქთ სწავლაზედ, და სთხოვა პალატს ეს წინადადება აღნიშნულ კომმისიას გარდაეცითო. პალატმაც გადასცა კომმისიას. ამასთანავე პოლბერმა, კომმისიის სახელით, სთქვა ეს ყველა კარგიო, მაგრამ არა მგონიაო, რომ კარგი იყოსო ცალკე და კერძო კანონის წარდგენა იმ საქმეზედ, რომელზედაც პალატს წარედგინება საერთო, საზოგადო კანონიო. ამ გვარად აღელვებულ ბაასს უნდა მოველოდეთ ამ საგანზედ დეპუტატთა პალატში.

1850 წელს საფრანგეთში დადგენილ იქმნა კანონი, რომლის ძალით შკოლა სრულიად ეკკლესიამ დაიპყრა ხელთ. უმთავრესს საგანს შკოლის პროგრამმისას შეადგენდა სამღვთო წერილი, სარწმუნოების სწავლა. ამის გამო შკოლას დაეტყო კლერიკალური მიმართულება. ამ კანონის ძალით ყოველ-გვარ სარწმუნოებას თავ-თავისი შკოლა უნდა ჰქონოდა, ცალკე კათოლიკებს, ცალკე პროტესტანტებს, ცალკე ურიებს. რასაკვირველია ამ გვარ წყობას ვერაფერი შედეგი უნდა მოჰყოლოდა: ხალხს სიყრმიდგანვე ჰყვებოდა სარწმუნოებითი განხეთქილება, რომელიც, რასაკვირველია, სხვა საქმეთა მსვლელობისათვისაც მავნებელი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, სხვა ბოროტი შედეგიც მოსდევდა ზემოხსენებულ კანონს. სხვა-და-სხვა სარწმუნოების მიმდევარნი ჯგუფ-ჯგუფად არ სცხოვრობენ საფრანგეთში. არის მრავალი იმისთანა ადგილი, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არის, მაგალითებრ, კათოლიკის სარწმუნოებისა და სხვანი, პროტესტანტები, თუ ურიები თითო-ოროლანი. ამ ადგილას კანონის ძალით კათოლიკის სარწმუნოების სწავლება ვალდებული იყო შკოლაში, სადაც სხვა სარწმუნოების დედ-მამანიც იძულებულნი იყვნენ გაეგზავნათ თავისი შვილები. ეს გარემოება, რასაკვირველია, სრულიად ეწინააღმდეგება სარწმუნოების თავისუფლებას. აი ყველა ამის მოსასპობლად არის მომართული ზემოხსენებულის კომმისსიის მიერ გამოკვლეული წინადადება. „თუ დედ-მამანი ვალდებულნი უნდა იყვნენო უსათუოდ გაგზავნონ თავის შვილები შკოლაში, ამბობს პოლბერი, მაშასადამე სახელმწიფოც უნდა დაჰპირდესო, რომ მათ სარწმუნოებას არავითარი ძალდატანება არ მოელისო“.

## ახალი ამბები

—

დიდ მთავრის კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის თანაშემწე თ. ლ. ი. მელიქოვი ამ დღეებში ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში და უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

კეთილი იყოს იმის მოსვლა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვიხარიან თ. ლ. მელიქოვის აღრჩევა ამ მაღალ თანამდებობისათვის; გვიხარიან მარტო იმიტომ კი არა, რომ ის ქართველია, არამედ უფრო იმიტომ, რომ ის არის სიმართლის მოყვარე და მიუდგომელი კაცი. ის იცნობს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას, და, უეჭველია, რომ თავის მძიმე თანამდებობის აღსრულების დროს ყოველთვის ისე მოიქცევა, როგორც თავის მაღალი ჭკუა და პირ-უთნელი ხასიათი გაუჩრის, როგორც ქვეყნის საზოგადო საჭიროება და სარგებლობა მოითხოვს.

* * *

დღევანდელ „კავკაზში“ დაბეჭდილია ფრიად მოსაწონია და ყურადღების ღირსი აზრი ვიღაც უფ. სჩუკინისა იმის შესახებ — თუ ამ ხალხის გაჭირებისა და შიმშილობის დროს როგორ, რა საშუალებით შეიძლება ფულის მოგროვება გაჭირებულთა სასარგებლოდ.

უფ. სჩუკინის საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ ყველას, ვინც კი

---

## ფელტონი

—

### სცენა ვეფხვის-ტყაოსნიდგან

„აზრის“ რედაქციაში.

თავზედ ჰზის სოგრატ ვეზირი ტანათ
მომცრო და სქელია;
მას გვერდით უზის ხევსური, სიტყვის
პტყლათ გამომთქმელია;
ავთანდილს, შორით მოსულსა, არ
დარჩომია სელია;
მეფეს როსტევანს სახეზედ გადაჰკრობია ბნელია.

—

თქვეს თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა:
„ის ქალალდი, ხელთ რომ უპყრას,
სწორეთ ცუდი რამა ქმნილა!“
ავთანდილ სთქვა: „სოგრატ, ვკითხოთ,
გვითხრას, რაცა შეგვეცილა:
„ვკადროთ რამე სალაღობო, რასათვისცა გაგვაწბილა.“

—

ადგეს სოგრატ და ხევსური ქცევითა
ფრიად წყნარითა;
თვითო აივსეს ჭიქები, ერთმა წყლით,
სოგრატ ღოდკითა;
ავთანდილ, მოყმე არაბი, მისდევს ხელების ქნევითა,
ვეზირი ლაღობს ენითა წყლიანათ მოუბნარითა:

—

„დაგილრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო.
„იქნება ვინმემ გაბედა შენზედ რაიმე
ძვირიო!
„გვიბრძანე სრულათ აღმოვფხვრათ მისი
ფესვი და ძირიო,
„ცუდათ შევუქმნათ თათბირი და მისი
დანაპირიო.

—

რა მეფემან მოისმინა, უცბათ მაღლა აიხედა,
უბრძანა თუ: „ვაჰ გაზრდილნო, ცუდი
საქმე დაგვებედა:
„მე მიწერენ, ვითომც ვცრუობ, ეს ვინ
როგორ გამიბედა;
„დღეს სხვას ამბობ, ხვალ სხვასაო,
ბრძანდებიო ცუდათ-ყბედა.“

—

ვეზირმა ჰკადრა: „მაგისთვის არ შეგფერის მწუხარება,
„რომელს ძალ-უძს ხორციელსა, მეფევ,
შენი შევინება!
„მე მომანდე მის პასუხი, ღმრთე მხოლოთ შენი ნება,
„მაშინ ენახოთ, ბრძოლაშია ვინ ვის
დაემჯობინება!

—

„ზღვას მელნათა გარდავაქცევ, კალამს ავილებ შენსასა,
„მხოლოთ ამას გევედრები, ნუ მომაკლებ კერძს ჩემსასა:
„საჭმლის გარჩევა არ მიყვარს, ხორცს
ვსჭამ თუნდ კამბეჩისასა,
„ოღონდ ეს კი შემისრულე: სველი
მქონდეს მუდამ სასა.

—

„სასა გამშრალი თუ არ მაქვს, მაშინ
ვიჩინო თავია,
„სულ ავურიო ერთათა რაც კი კარგი და ავია,
„დღეს შენი მტერი გავხადო, ხვალ შენივე მოსავია,
„თქვენს სამსახურათ გინდ ლექსი, გინდ
პროზა მომირთმევია.“

—

რა გაათავა სოგრატმან სიტყვანი
მაამებელნი,
წინა წარმოსდგა ავთანდილ და გაშალა განზედ ხელნი;
მოახსენა: „ხელმწიფეო, გმორჩილევენ
ყოველნი ერნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრში, ცირკში, კონცერტებში და სხვა ამგვარ დროს—გასატარებელ ადგილებში მიდის და ბილეთს ჰყიდულობს, ბილეთის ფასს გარდა, ღარიბების სასარგებლოდ, გარდაახდევინონ კიდევ თითო შაური. ეს საქმე რომ მოაგვაროს რომელიმემ ქველმოქმედ საზოგადოებამ, უფ. სჩუკინის გამოანგარიშებით, ღარიბებისათვის მუდამ წელიწადს უკანასკნელი 20—25 ათასი მანეთი მოგროვდება. როცა სიძვირე და შიმშილობა მოისპობა, მაშინ ეს ფული შეიძლება სახალხო განათლების საქმეს მოხმარდესო.

ეს აზრი, როგორც ზევით ვსთქვით, სრული თანაგრძნობისა და ყურადღების ღირსი აზრია და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვინატროთ, რომ ის რაც შეიძლება მალე განხორციელებულიყოს, სისრულეში მოეყვანოსთ.

* * *

კავკასიის მთებიდამ მოვიდა ამბავი, რომ 26 იანვარს ბევრ ალაგას თოვლი ჩამოწვა და გზება შეკრაო; მაგრამ იმ წამსვე მუშები დაუყენებიათ და მეორე დღისათვის ყველგან გაუხსნიათ ისევ გზები და ახლა ფოჩტა თავისუფლად დადისო.

* * *

19 თებერვლის სახსოვრად თფილისის თათრები აგროვებენ ფულსა და თავიანთ შვილებისათვის ცალკე შკოლის გახსნას აპირებენ. შკოლაში ასწავლიან რუსულ ენასა და აგრეთვე ყველა სხვა პირველ-დაწყებით საგნებსა.

* * *

მომავალ ოთხშაბათს, 30 იანვარს, ქართული ტრუპპა შემდეგ პიესებს ამზადებს თეატრში წარმოსადგენელად: „ქომარბაზის ცხოვრება“ (**Жизнь игрока**), სამ მოქმედებიანი დრამმა, ნათარგმნი უფ. ივ. კერესელიძისაგან და „ბიძიასთან გამოხუმრება“ თ. რაფ. ერისთვისაგან გარდმოკეთებული ერთ-მოქმედებიანი ოპერეტტა.

ორივე პიესას ძალიან აქებენ, განსაკუთრებით თ. რაფ. ერისთვის „ბიძიასთან გამოხუმრებაზე“ ამბობენ, ძალიან მხიარული და ცოცხალი პიესა არისო.

უფ. ა. ციფიანი თავის ბენეფისისათვის, რომელიც 13 თებერვალს არის დანიშნული, როგორც გვითხრეს, უფ. გიორგი წერეთლის ახალ სამ-მოქმედებიან დრამმას „ოჯახის ასული“ ამზადებს.

* * *

სურამიდამ გვწერენ, რომ არც ერთი ქალაქი, არც დაბა, თითქმის არც სოფელი საქართველოისა არ ცხოვრებს ისე მიყრუებულის და უპატიურის ცხოვრებით, როგორც ჩვენი ქალაქიო: არც ერთს გაზეთს, არც ქართულსა და არც რუსულს აქ არ იწერენო, აქ არ არის არც კლუბი და არც სხვა რამ დროს გასატარებელი ადგილიო. ჭამა და ძილი — ამ ორ სიტყვაში გამოიხატება აქაური ქართველების ცხოვრებაო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, სურამში ამ ჟამად დიდი სიძვირე გაჩენილა „რუსის გზასავით გაგრძელებულს“ აქაურს ბაზარში, სადაც ისე ვერ გაივლი, თუ კოჭებამდინ ტალახში არ გაისვარე, ცოტა რამ იშოვება სასყიდელიო და რაც იშოვება, იმასაც მამა-სისხლის ფასად ჰყიდიანო.

* * *

ყარსის მაზრიდამ გადასახლებულების თაობაზედ მოგვყავს კიდევ ზოგიერთი ცნობები „კავკაზის“ გუშინდელ კორრესპონდენციიდამ:

„ყარსიდამ გადასახლებულ მაჰმადიანებმა მიიღეს თუ ხაზინიდამ და კერძო პირებისაგან თავიანთ მამულების გასყიდვის ფული; სხვა ქალაქების მცხოვრებლები, მაგალითად ყაღიზმანისა, ოლთისა, არტაანისა და სხვ. მომეტებული ნაწილი ისე წავიდა, რომ ვერ მოასწრეს, ვერ მოახერხეს თავიანთი სახლებისა და ადგილ-მამულის გაყიდვა, ზოგმა კი ნახევარ, მესამედ ფასად გაჰყიდა.

სულ გარდასახლდნენ ქ. ყარსიდამ —5,429 სული, არტაანიდამ— 764, ტახტიდამ—6,570, ფოცხოვის საპრისტაოდამ—200 სული და სხვ.

* * *

კარგი სანახავი იყო ჩვენი საზაფხულო თეატრი ამ ოთხშაბათს, უფ. ა. მესხის ბენეფისის დროს. რაღა თქმა უნდა, რომ თეატრი სავსე იყო ხალხით, თვით ორკესტრშიაც აღარ მოიპოებოდა თავისუფალი ალაგი; ლოჟები და კრესლები ერთის კვირის წინათ გაყიდული იყო. ორი ამდენი რომ ყოფილიყო თეატრი, უეჭველია მაშინაც გაივსებოდა. მაყურებელნი თითქო რაღაც უჩვეულებრივო ამბავს მოელოდნენ, ისე იყვნენ აღელვებულნი.

ხმაურობა, ტაშის-კვრა, „ბიზის“ ძახილი არ გაწყნარებულა მთელი წარმოდგენის დროს. ბენეფიციანტი და თ. აკაკი წერეთელი განსაკუთრებით უანგარიშოთ გამოიხმეს.

ბენეფიციანტს საზოგადოებამ უძღვნა მშვენიერი ოქროს საათი თავის ოქროს ძეწკვით, ლამაზათ გაკეთებული ლირა, ვერცხლის საპაპიროზე და ვერცხლისვე სტაქნის ჩასადგმელი; ამას გარდა თვითონ სცენაზე გამოვიდნენ ორი სომეხი და ერთმა სომხის საზოგადოების მხრით მიუტანა ვერცხლის დიდი საპაპიროზე და მეორემ სომხური ტრუპპის მხრით, ხელოვნური ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინი, თან უთხრეს მოკლე სიტყვა სომხურად, რომ „ეს საჩუქარი თქვენი ნიჭისათვის გვიძღვნიაო“.

ერთის სიტყვით ჩვენი საზოგადოება თან-და-თან მომეტებულ თანაგრძნობას უცხადებს თავის თეატრს და ახლანდელ ტრუპპას. ეს თანაგრძნობა უნდა დააფასოს ტრუპპამ და თავის მოვალეობის კეთილ-სინიდისიანათ შესრულებით ეცადოს, რომ კიდევ უფრო შეაყვაროს ქართველ საზოგადოებას თავის სამშობლო თეატრი...

* * *

28 იანვარს ქალაქის რჩევაში განხილულ იქმნებიან შემდეგი საქმები:

1) გამგეობის მოხსენება ოლდებულ წესდებულებაზედ შენობების შესახებ.

2) გამგეობის მოხსენება საურთიერთო სტრახზედ.

3) რასსოლოვისა და ხავენკოს თხოვნა, რომ მიეცეთ შემწეობა, რომელიც ომიანობის დროს ერგებოდათ.

4) გამგეობის მოხსენება იმ 3,806 მ. 21 კოპ. შევსებაზედ, რომელიც გადადებული იყო შოსსეს გაკეთებისათვის რკინის გზის ვაგზალამდინ.

5) თხოვნა მეშჩანების უსტაბაშისა, რომ აპატიონ ის 6000 მანეთი, რომელიც სესხათ იყო მიცემული მილიციონერების ჩაცმა-დახურვისათვის.

6) თხოვნა სოლომონ არტემოვისა, რომ ნედოიმკა აპატიონ.

7) მოხსენება 19 თებერვლის საიუბილეო კომმისიისა.

8) საჩივარი ლუარსაბ სულხანოვისა გამგეობაზედ, რომელსაც ნება არ მიუცია მისთვის მადნეულის წყლების პავილიონი აეშენებინა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ზაქათალა**, 8 იანვარს. კავკასიის აქეთა მხარეში ბევრია ისეთი კუთხეები, რომლებიც თავის სხვა და სხვა ისტორიულ მასალებით გვიმტკიცებენ, რომ უწინ ქართველობა აქ უფრო ყოფილა გავრცელებული, ვინემ ახლა მოიპოება. ამ ალაგებში შესანიშნავია ზაქათლის მაზრა.

როცა გამოხვალთ ალაზნის გაღმა ნაპირს, მაშინვე გამოგეცვლებათ გზის სურათი: გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს თვალ გადაუწვდენელი ტყეებია, ამ ტყეებში გორებზედ მოჩანან ნახევრათ დანგრეული შენობაები.

საუბედუროთ, ამ შენობებზე ვერაფერს ნაწერს ვერა პოულობთ და თუ იპოვნით, იმასაც ვერ წაიკითხავთ, რადგან მის დაწერის აქეთ დიდ დროს გაუვლია.

---

„შენსა ქებას ისე მოვფენ, რომ ველარ იტევდნენ ველნი.

—

„ქვეყნის ყოველის კუთხიდგან დავსწერ კორრესპონდენციებს,
„თუმც არაბეთს არ ვშორდები, მაგრამ ამას ვინ ეძიებს;
„შენგან დაწერილს სტატიებს გარდავფენ შუქს და სხივებს;
„განვადიდებ სახელს შენსას, შევადარებ მზისა მთიებს.“

—

წარსდგა მასუკან ხევსური ჭკვა-მძიმე და ფეხ-მალიო,
მოახსენა: „ხელმწიფეო, მეც მაწევს შენი ვალიო,
„შენ ულირსელათ თუ მაქე, რწყილი გამხადე მკალიო,
„მე ვით არ გაგცე პასუხი, ვით არ მოგცხო წამალიო.

—

„შენი სახელი, მეფეო, არ ავათ გასაგონია,
„ვინც წყენა გკადრა, ჭკვიანი მე იგი არა მგონია,
„თუნდ დღეს რომ სხვა სთქვა, ხვალე სხვა, მაინც კი მოსაწონია;
„იმ უბედურმა არ იცის, შენი სიტყვა კანონია.“

—

ამა სიტყვათ მოისმენდა მეფე თავჩაკიდებული,
შუბლზედ ხელს მალ-მალ ისვამდა, თან ულრენდა მეტათ გული;
მერე წარმოსდგა უეცრად გამწყრალი, განრისხებული,
შეუტია თვისთა მხლებელთ, შიშით დაულია სული.

—

უბძანა თუ: „თქვენი ნიჭი ისევ თქვენს თავს მოახმარეთ.
„ჩემთა მტერთან საბრძოლველად ჩემი კალამი მაკმარეთ,
„მხოლოთ ბრძოლის დროს ყოველთა აქვე თავი მოიყარეთ,
„ძველნი ისარნი წაიღეთ, ახალნი გარს მომაყარეთ.

—

„ცუდათ არის ჩემი საქმე, კუდზედ დამადგეს ფეხია,
„მე სხვაფრივ უნდა მოვიქცე, მე სხვა დავსცე მას მეხია,
„უნდა მოვიხმო მე შემწეთ სიტყვანი დანაგრეხია
„და დავუმტკიცო, რომ ესე არ ცუდათ დამიკვეხია.

—

„ვიტყვი: „ტვინს ვერ ამოძრავებს, ყბედობს რაც არ გაეგება!“
„ჩემს სტატიებს კითხულობენ, მე უფრო დამეჯერება,
„სხვამ ვინც რა უნდა დასწეროს, კითხვა წილათ არ შეხვდება,
„საცა ჭკუა არ გამიჭრის, იქ ხრიკი გამომადგება.“

მ.

## ქალაქის სცენები

### ნასვამი

(ორნი ნასვამნი. ერთი ნახევარ-დალალია, ნახევარ-ადვოკატი.)

— არა მე იმას როგორ მოუთმინო, შენ რა კაცი ხარო?! შენისთანა ატვაკატი ფეხებზე მკიდიაო, გესმის? მოთმინება არ იქნება! ასეთი საქმე უყო, ასეთი საქმე უყო, რო..ომ... გესმის?..

— ანგარიში მესმის, რაც არის; მაგრამა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია მოგვითხრობს რომ ალბანების შემდეგ ზაქათლის მაზრაში გადმოსახლებულან ქართველები. აქაურ ქართველებს დიდხანს შეუნახავთ წმინდა თავიანთი ზნე-ხასიათი და სხვა ამათი ცხოვრების გარემოება დიდად გაირჩეოდა იმ ქართველების ცხოვრებიდამ, რომლებიც ცხოვრებდნენ ალაზნის იქითა მხარესა.

ზაქათალის მაზრაში მცხოვრები ქართველები გარშემო იყვნენ შემორტყმულნი ლეკებისაგან, რომლებმაც იქამდისინ მიიყვანეს ეს საწყლები, რომ დააიწყებინეს მამა-პაპური სარწმუნოება, დაანგრიეს ეკკლესიები (სხვათა შორის ერთი ამ ნანგრევისა შენახულა ტანაჩიში; ამ ეკკლესიაში მყოფ ნაწერიდგან სჩანს, რომ ეს ლევან მეფისაგან ყოფილა აშენებული) და მიაღებინეს მაჰმადის სარწმუნოება.

გარემოებანი ისე მიმდინარეობდნენ, რომ აქაური ქართველები იძულებულნი გახდნენ სახელი „ქართველი“ გამოეცვალა და დაერქვათ „ინგილო“.

დიდი დროს განმავალობაში აქაური ქართველები ასრულებდნენ მაჰმადის სარწმუნოებას; ზოგმა ამათგანმა დაივიწყა ვინაობა თავის მამა-პაპისა, დაივიწყა ხასიათი ქართველ კაცისა, ქართულ ენის მაგივრათ რაღაც ახალი „ინგილოს“ ენა შეადგინა და ასე განშორდნენ ერთმანერთს წინანდელი ძმები — ქართველები.

ზოგნი ცხოვრების უბედურ მდგომარეობამ ასე მალე ვერ შეიყვანა სხვა კანში: თუ დაინახავდნენ ქართველ კაცსა, იტყოდნენ ჩვენც ქართველები ვართო, მარხვას ინახავდნენ და სხვ. თუ ლეკს დაინახავდნენ, მაშინ გამოიჩენდნენ თავს ნამდვილ ლეკათა: დღეში ოთხჯერ ლოცულობდნენ (თუმცა ლოცვები არა იცოდნენ), „ოარუჯს“ (ლეკურ მარხვას) ინახავდნენ...

ამ მდგომარეობაში იყვნენ იმ დრომდისინ, ვინემ საქართველოში რუსები არ მოვიდოდნენ: მაშინ კი განიზრახეს საინგილოში აღედგინათ ქრისტეს სარწმუნოება, მაგრამ ვერ იპოვეს გზა, კარგი საშვალება რომ მოეყვანათ ეს სისრულეში; ერთმა მეათედმა წინანდელ ქართველებისა არა მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება. აქედამ რუსებმა გამოიყვანეს ის შეხედულება, რომ ვითომც ინგილოები ისევე გაფანატიკებულანო, როგორც თვითონ ლეკებიო. ბოლოს უბრძანეს, სოფლებში ააშენეთო ან ეკკლესიებიო, ან მეჩითებიო.

რადგანაც იშვიათათ იპოვებოდნენ მაზრაში ისეთნი პირნი, რომელთაც შეეძლოთ ჩაეგონათ ხალხისათვის იმათი ვინაობა, წინანდელი სარწმუნოება და სხვ. და მაჰმადის სარწმუნოების მქადაგებელნი კი დაუღალავათ ქადაგობდნენ ყოველ სოფელში, ინგილოს ყურში ჩასძახოდნენ მაჰმადიანი ხართო ამის გამო თითქმის ყოველ სოფელში აღაშენეს მეჩითები' თუმცა გულით კიდევ ქართველები არიან.

ამ ჟამათ აი რამდენი სოფელი წმინდა ქართულათ ლაპარაკობს: ალიაბათი, მოსული, თასმალო, ზაგანი, შოთავარი და რამდენიმე სხვა.

წელს შემთხვევა მქონდა გამეარნა ქურმუხის მონასტერთან ახლო. აქ დავინახე რამდენიმე გამოშვებული ურმები, კაც-დედაკაცნი ყმაწვილებით. წაველი, დავუწყე მუსაიფი, გამოჩნდა, რომ ესენი ყოფილან შოთავრელი „ინგილო - მამადიანები“, რომლებიც მოსულან მონასტერში სალოცავათ და სამხთოც მოუყვანიათ. ამათ შეუნახავთ მარიამობის მარხვა, აგვისტოს 16 ღამით მოსულან მონასტერში, ულოცნიათ და დილაზედ მზის ამოსვლის დროს აპირებდნენ ქახში წასვლას, რომ აქ არავინ არ დაგვინახოსო! ამბობდნენ, ჩვენ ვიცითო ჩვენი ვინაობაო, მაგრამ აშკარათ არ შეგვიძლიან აღვასრულოთო ჩვენი მამა-პაპების სარწმუნოებაო, ამიტომაც ღამით წამოველითო აქ სალოცავათ, ჩვენ სოფელში კი ვუთხარითო, რომ ჩვენ, ჩვენ ნათესავებთან მივდივართო ქაკში...

როგორ მოგწონსთ ეს მაგალითი? ვსთქვათ პირველად რუსებმა ვერ გაიცნეს ხალხი ეხლა მაინც მმართებლობა რატომ არ აქცევს ამას ჯეროვან ყურადღებას?

დიდათ სამწუხაროა, რომ ამისთანა მხარეში ხეირიანი სასწავლებლები არ არის გახსნილი. ერთი აქაურ უეზდის სასწავლებლის მასწავლებელთაგანი კლასიდამ შაგირდს გამოუძახებდა ხოლმე შარშან და ბოთლით გზავნიდა ბაზარში, ღვინო მომიტანეო, და გაკვეთილების დროს მიეცემოდა ნუნუას. მეორე მთელ ღამეებს ატარებდა და ატარებს კიდეც კლუბში, მეორე გადაკრული მიეცემოდა ძილს მეორე დღეს შუადღემდისინ; შაგირდები კი უქმათ დასეირნობენ.

ამით უნდა ავხსნათ ის მოვლენა, რომ ზაქათალის უეზდის სასწავლებელში ყოველ წელს ასრულებენ კურს მხოლოთ 2—4 შაგირდი. მაგრამ ვაი ამისთანა კურსის შესრულება. ხეირიან სასოფლო შკოლაში სჯობს კურსის შესრულება ვინემ აქა.

ბ. ხუციშვილი.

---

## უფ. გორის უეზდის მარშალს

(ღია წერილი)

წარსული წლის „თფილისის მოამბეში“ № 260-ში დაბეჭდილი იყო თქვენი პასუხი ჩემ წერილზედ („დროება“ № 260). ვწუხვარ, რომ ამ პასუხს ასე გვიან გაძლევთ, მაგრამ მიზეზი დაგვიანებისა ის გახლდათ, რომ სანამ ქართულათ არ გარდამითარგმნეს, მანამ ვერას მოგახსენებდით. დალოცვილო, რაზედ გამიხადეთ საქმე სახვეწურათ სხვასთან, — ბარემ საშობლო ენაზედ გეპასუხნათ, რომ ყველა ქართველებს გაეგოთ და გაერჩიათ თქვენი სიმართლე. მაგრამ ამაზე ლაპარაკი არა ღირს.

ყველაზე პირველად მოგაგონებთ, რომ თქვენ დაგვიწყებიათ ის, რაც მოგანდესთ თქვენ, უეზდის მარშლებს, მაისის გუბერნიის კრებაში. აი რა: გუბერნიის კრებას უნდა გაეხადნა ფულის შეტანის ვალდებულად მთლათ გუბერნიის კეთილშობილნი; მაგრამ, საუბედუროთ, ეს აზრი არ შესრულდა, რადგანაც თავად-აზნაურნი ცოტანი იყვნენ და არც იცოდნენ თავიანთ მეზობლების აზრი: იქმნებოდნენ თანახმანი, თუ არა.

შემდეგ ამისი უეზდის მარშლები გაგხადესთ ვალდებულათ მოგეხდინათ კრება უეზდებში და იქ მოგელაპარაკნათ ამ საგანზე.

თქვენ მკითხამთ: რას მოგვცემს უეზდის ყრილობა! აი რას: მითი შევიტყობდით კეთილ-შობილების აზრს: იქმნებიან თანახმანი, რომ სამუდამოთ ვალდებულნი იყვნენ ყოველ წელს ფულის შეტანისა, თუ არა.

როდესაც ამაზედ შესდგებოდა განაჩენი და აღმოჩნდებოდა მომეტებულნი მსურველნი, მაშინ გუბერნიის მარშალი მოახდენდა გუბერნიის კრებას, და კრების დროს ვისაც ხმა ექმნება, დიდი სურვილით მისცემს თეთრს კენჭს და მთლად გუბერნიის კეთილშობილნი ვალდებულნი იქმნებიან.

რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ, როგორც თქვენ ბრძანებთ, კრების გარდაწყვეტილება მაუდ-ქვეშ ამოიდვას და არაფერი არ გაკეთდეს; მაგრამ თუ საქმეს ყურადღებას მიაქცევთ, მაშინ რამე გარიგდება.

თქვენ თითონ იწერებით, სწავლა ისეთ რიგათ სწყურიან ჩვენს კეთილშობილებასაო, რომ ყველა მუშაობას თავს დაანებებს და ჩამოვლენ, როდესაც დაიბარებთ. დალოცვილო, რაღას უყურებთ. თუ კიდეც გცოდნიათ.

თხოულობთ პირ-ბადე აეიხადო. დიდ-მარხვამდინ ჯერ მასკარადებია, მოითმინეთ. ან რათ მოგსურვებიათ ჩემი ვინაობა? თქვენ ყური უგდეთ ნათქვამს და მთქმელი ვინც უნდა იყვეს რას დასდევთ!?

გორის უეზდის ერთი კეთილშობილთაგანი.

გორი, 20 იანვარს.

---

— არა, გესმის? რა კაცი ხარო? ვა...ჰ, დედას უტირებ, გესმის? ჩემი ხელიდამ რაც რომა ქაღალდები გასულა, იცი სადამდინ უვლია; იცი გუბერნატორის ხელში რამდენს უვლია?

— ვაჰ! განა არ ვიცი, შენ ნაკითხი კაცი ხარ? მე შენ მოგახსენო, რადგან რომა...

— ეჰ, რადგან რომელია! გესმის, მილიციის დრო არ არის? უნდა გამოხვიდეო... გაიგონე!.. რაც დრო ყოფილა, მე ხომ ვყოფილვარ და გამითავებია. ახლა შაბააშ!.. რა გამოვიდა? არაფერი.

— მითომ რა უვარგისი ყოფილხარ?

— რის უვაქენია ყოფილა? არაფერი უვაქენია. მე კი იმას არ მოუთმენ... შენა რა კაცი....

— იმას მოგახსენებ რომ, ახლა ანგარიშის საქმე...

— არა, მილიცია მე ფეხებზე მკიდია! იქ რა მინდა?.. მინდა, ხვალვე ხუთასი კაცი გამოვიყვანო და ზარბაზნის პირ-და-პირ დავაყენო!... ახლა, გესმის, ზარბაზანი ხომ ზარბაზანია, — ვსე რავნო გამოვა რაღა...

— ვსე რავნო გამოვა, ანგარიშია.

— ჰო, ხო ვსე რავნოა... მე ახლა იმისი ვიცი... გესმის? რადგანაც რომა თქვა - ვსე რავნო გამოვიდეს! მოკვდეს არ მოუთმენ. იაგორცკი ხრისტუ ვიდალ?

— სმატრიმ და!

— მაშ, ახლა უყურე თუ დედა არ აუტირო... რა კაცი ხარო?

— არა, მოგახსენო... ის ანგარიში ხომ იცი რაღა... ახლა შენ არ უნდა იწყინო, ნამსახური კაცი ხარ. შენი ამბავი სხვაა, ყველაფერი გესმის დუნიაზედა...

— არა, ატვაკატი ფეხებზე მკიდიაო, გესმის!

— ახლა, რადგანაც რომა...

— არა! მაგაზე ყაბული არა მაქვს. გაიგონე, შენ რომ ამბობ რადგანაცაო, იცი? ოთხმოცი იმერელი აფიცარი მყავდა; გესმის, სულ ესე თავზე მედგნენ ჭადი-ჭამიები... (სიცილით) ასეთი ორი ცხენი მოვსხლიტე და ჩამოვიყვანე, რომ მასკვლავებს ეთამაშებოდნენ...

— ახლა თქვენი ყადრი განა არ ვიცი?

— იმიტომ გეუბნები, გესმის?

— ვ..ჰ! შენი ყადრი რო ვიცი, ანგარიშია რაღა...

— რა ფაიდა! ახლა გესმის, მოუთმინო? შენ რა კაცი ხარო? არა, მე... ეგ...ეგ...

— მიჰქარამს.

— ჰოო, ხო მიჰქარამს?

— მიჰქარამს და თავს ქვას ახლის.

— ჯან! მოდი ერთი პროშტი.

(ეხვევიან ერთმანეთს, ჰკოცნიან.)

— მაშ!

— შინ წავიდეთ, გესმის; რას იტყვი?

— არა, მოდი, გზაზე ერთი ჩარექიც ხელათ მოუკუპრავში გადაუძახოთ...

— არა გეთაყვა, შააბაშ!

— ჰო, მეთქი!

— შენი ნებაა! არ გაწყენინებ. მაგრამა... დედას უტირებ... რა კაცი ხარო?

— მიჰქარამს.

— მოდი ერთი პროშტი.

— მეთქი და! (ჰკოცნიან ერთმანერთსა).

ანჩხატელი.

1 მკათათვეს 1878 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი

—

კერძოობითი

—

ორშაბათს, 30 იანვარს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად

I

**უომარბაზის ცხოვრება**

სამ-მოქმედებიანი დრამმა, ნათარგმნი ივ. კერესელიძისა

II

**ბიძიასთან გამოხუმრება**

ოპერეტტა, ერთ-მოქმ. გადმოკეთ. თ. რაფ. ერისთვისაგან

[illegible] თეატრის კასსირთან და აზნაურობის მაღაზიაში.



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.

**ბალაგანში**

ცირკის გვერდით, ზუბის მაედანზე საზოგადოებას აჩვენებენ

**ჯერ აქ უნახავს მოვლენას:**

**ყველაზე უდიდესი ევროპაში**

## ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები

მარკიზი **გენრიხ ვოლგე**

და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისთვის ნახევარი ფასია.

(5—1)

---

**ცხენების გადასახადის ამკრებ კომისიონერების კანტორა** იმყოფება იმავე ადგილას, სადაც ადრე იყო, ე. ი. 3. მირზოევის ქარვასლაში, № 53.

ცხენების პატრონებისაგან ხარჯის ასაღებად და იმათთვის კვიტანციის მისაცემად კანტორა გახსნილი დილის 9 საათიდამ ნაშვადღევის 5 საათამდინ.

ქუთაისისა და ფოთის მცხოვრებთა და აგრეთვე ამ ქალაქების ახლო-ახლო სოფლების მცხოვრებთ ეცნობებათ, რომ ამ ახალ-წლიდამ **სტრახში** ფაბრიკები, სახლები, ცეცხლის-გემები, ნავები, საქონელი და სხვა ყოველგვარი ქონება მიიღება „**ცეცხლისაგან უზრუნველ მყოფს რუსის საზოგადოებაში**„. მსურველს შეუძლიან მიმართოს ქ. **ქუთაისში** ინჟინერ ლაედანსკის, რომელიც დგას არტილერიის ქუჩაზე, სახელმწიფო საინჟინერო სახლებში: ფოთში კი უნდა მიმართონ ინჟინერ სარპეცკის, რომელიც დგას შაკოს სასტუმროს მახლობლად საინჟინერო სახლში.

(10—6)

---

სავაჭრო სახლი

## იაგ. ქასუმოვი დაკომპ.

სთხოვს ფაეტონების, დროჟკების, ფურგუნების, პოვოზკებისა და სხვ. პატრონებს მობძანდნენ ბილეთების ასაღებად 1880 წლისათვის კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანიშვილის სახლებში.

(10—3)

---

**შავერდოვის გაზეთის სააგენტოში**

იყიდება ახალი ქართული წიგნი

## „საახალწლო“

**შედგ. ნ. ნიკოლაძისა**

(გამოცემა შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი)

**შინაარსი:** „სიზმარი“ ლიუდოვიკ ჰალევის მოთხრობა (ფრანც. ნათარგმნი), —„სტუდენტობის პირველი დრო“ (1861),—„მამულის სიყვარული და მამულის მსახურება.“

„საახალწლო“ პატარა ტომია, 352 ფურც. ფასი 50 კაპ. გაგზავნით 60 კაპ.

(3—2)

---

სახაზინო

—

**კავკასიის პრიკაზი** აცხადებს, რომ თებერვლის 11-ს იქნებავაჭრობა (ტორგი) ქვემო ხსენებულ პირთა სახლების გაყიდვაზედ, რადგან ამ პირთ თავის დროის პრიკაზის ვალი ვერ გარდაუხდიათ; სამის დღის შემდეგ დანიშნული იქნება ხელმეორედ ვაჭრობა:

1) ქ-ნა პელაგია ივანეს ასული ტუსიევის სახლი, თფ. 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში, № 629. 1877—300 მან.

2) თფილისის მოქალაქის ანდრია გლახამაზდინის სახლი, თფ. 2 განყოფ. მე-11 უჩასტკაში, ნიკოლაევის ქუჩაზე. 1876 წ.—14,500 მან.

3) სერგეი იახშიბეკოვის სახლი, 2 განყოფ. მე-14 უჩასტ., ავლაბარში. 1876 წ.—1,900 მან.

4) ივანე სარქ. არუთინოვის სახლი, 2 განყ. 13 უჩასტ., ავლაბარში № 261. 1875 წ.—2,000 მან.

5) ამავე არუთინოვის სახლი, იქვე № 261. 1876 წ.—2,000 მან.

ვისაც ამ სახლების ყიდვა სურს, დაფასებით სიების ნახვა პრიკაზში შეუძლიან.

(3—2)

---

# რედაქციისაგან

1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

**გამოცემაზედ**

1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ ერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საზოგადო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „**დროება**“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი იქნება. ჟურნალი „**ივერია**“ კი ამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში: „**დროება**“-„**ივერიის**“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.*

**ფასი**

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“, ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: | „დროება“ — — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია“ — — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება —5 კაპეიკი.

— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

**რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“** { **თ. ილ. ჭავჭავაძე.** **სერ. მესხი.**

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „**რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ**“ ფირმით

სავაჭრო სახლი

## იაგორ ქასუმოვი და კომპ.

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმებას დაეხმაროს.

**თავნი ფული ამხანაგობისა უნდა შესდგეს**

## 750,000 მანეთ

ეს ფული შესდგება პირველი რაზრიადის 1000 მანეთიანი პაებითა, რომელიც დანიშნულს ვადაზე უნდა შემოიტანონ და რომელსაც პრემია ეძლევა.

მეორე რაზრიადის პაები, რომელთაც მხოლოდ დივინდენდი (სარგებელი) ეძლევათ, არიან 500 მანეთიანი, 100, 50 და 25 მანეთიანი.

**ამ-თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:**

1) ასესხებს ფულს იმ პირობით, რომ სესხის ამღებმა დანიშნულ ვადაზე ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ვალი.

2) იყიდის და გაჰყიდის სარგებლიან გარანტიის ბილეთებს.

3) შესანახავად მიიღებს ფულს.

4) იკისრებს ისეთს სავაჭრო და საწარმოვო საქმეებს, რომლებ შემწეობითაც ამხანაგობას მიეცემა ღონის-ძიება, რომ აუცილებლად საჭირო საგნები გაიაფოს თფილისში.

**ამხანაგობა მიიღებს:**

სესხისთვის, რომელსაც თვეობით გადაიხდიან 8% წელიწადში.

— — კვირაობით გადაიხდიან 7% წელიწადში.

**თვითონ აძლევს:**

1. **დროებით შეტანილს ფულში** უპირობოთ და პირობით } 4½ პროცენტს.
2. **მოთხოვნამდინ შეტანილს ფულში**
3. **ვადით შეტანილს ფულში:** 6 თვით — 5 პროც.
   9 თვით — 6 „
   1 წლით და მეტით — 7 პროც.

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა გაღებულია დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ. უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ. 25 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.